საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს
შპს ,,თენგო 2000"-ის დირექტორის
თენგიზ ხითარიშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ახალციხის რაიონი, ქალაქი ვალე, II შახტის ტერიტორიაზე ჩვენს მიერ დაგეგმილი ცემენტის მწარმოებელი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-11 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, რომლის განხილვაც დაწყებული იქნა.

იმის გამო, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილული არ იყო დაგეგმილი და მიმდებარედ არსებული ასფალტის მწარმოებელი საწარმოს ემისიების სუმაციური ეფექტი და შესაბამისად, არ მოხდა მათი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გარემოზე, ჩვენი თხოვნით დაწყებული განხილვის პროცესი შეჩერებული იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწორებული ვარიანტის წარმოდგენამდე.

ცემენტის მწარმოებელი საწარმოს დაგეგმილი საქმიანობის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ის მე-10 და მე-11 მუხლების, ასევე, ახალციხის რაიონი, ქალაქი ვალე, II შახტის ტერიტორიაზე დაგეგმილი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გაცემული სკოპინგის დასკვნის(#63, 27.12.2018) მოთხოვნების შესაბამისად, წარმოგიდგენთ ამავე კოდექსის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციის შესწორებულ ვარიანტს. გთხოვთ განაახლოთ განხილვა.

დანართი:

1. გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
2. დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშს -1 ეგზემპლარი(ნაბეჭდი);
3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა(მანძილის მითითებით);
4. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლარი(ნაბეჭდი);
5. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) პროექტი- 2 ეგზემპლიარი(ნაბეჭდი);
6. გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი(ნაბეჭდი);
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს ,,თენგო 2000"-ის რეგისტრაციის თაობაზე;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საწარმოს მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის კუთვნილების თაობაზე;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
№ 10662
23 07 2019
02

8. CD – 1 ცალი.

პატივისცემით,

დირექტორი: /თ. ხითარიშვილი/

23.07.2019